



რომში წმიდა დიდმონაშენი ეკატერინეს ტაძრის სასაყდრო დღესასწაულთან დაკავშირებით ზეიმი გაიმართა



2021 წლის 4-5 დეკემბერს რომში წმიდა დიდმონაშენი ეკატერინეს სახელობის ტაძრის სასაყდრო დღესასწაული აღნიშნეს. მრავალწლიანი დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, საზეიმო ნირვა-ლოცვა წმინდა ეკატერინეს ხსენების უახლოეს კვირა დღეს აღესრულა, რათა ყველა მსურველს ერთობლივი ლოცვის სიხარულის გაზიარება შეძლებოდა.

4 დეკემბრის საღამოს ეკატერინეს ტაძარში ღამისთევის მსახურების წეს-განგება შესრულდა. ღვთისმსახურებას დასავლეთ ევროპის საპატრიარქო ეგზარქოსი, იტალიაში მოსკოვის საპატრიარქოს სამრევლოების მმართველი, კორსუნისა და დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი ანტონი წარუძღვა.

5 დეკემბერს მწყემსთმთავარმა საღმრთო ლიტურგია აღავლინა. ღვთისმსახურებაზე მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას თანამსახურებდნენ ტაძრის წინამძღვარი, იტალიაში მოსკოვის საპატრიარქოს სამრევლოების ადმინისტრაციის მდივანი მღვდელმონაზონი ამბროსი (მაცეგორა), მღვდელმონაზონი კირილე (პორუბაევი), მღვდელი იოანე კელინი, მღვდელი ალექსი მაქსიმოვი, დიაკონი გლებ კრუპნოვი.

ლიტურგიაზე ლოცულობდნენ წმინდა საყდართან რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ა.ა. ავდეევი, მრავალრიცხოვანი მრევლი და დღესასწაულის სტუმრები. ტაძარში ასევე იმყოფებოდა ქრისტიანთაშორისი ერთობის საკითხებში პაპის საბჭოს თანამშრომელი, მღვდელი იარომირ ზადრაპა.

მრჩობლ კვერექსზე ლოცვები აღევლინა კორონავირუსის პანდემიის დასასრულებლად.

ლიტურგიის განტევების შემდეგ ტაძრის ირგვლივ ჯვრით მსვლელობა ჩატარდა, რომელიც კიდობანში დასვენებული წმიდა დიდმონაშენე ეკატერინეს ნაწილებთან პარაკლისით დასრულდა.

მიტროპოლიტმა ანტონიმ გულთბილად მიულოცა შეკრებილებს ტაძრის დღესასწაული და ქადაგება წარმოთქვა. იერარქი ასევე მიესალმა ეკლესიის წინამძღვარს, მღვდელმონაზონ ამბროსის და მადლობა გადაუხადა ეკატერინეს ეკლესიის კედლებში სამრევლო ცხოვრების ჩამოსაყალიბებლად განუული შრომისთვის. მწყემსთმთავარმა სიხარული გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლებლობა მიეცა კვლავ ყოფილიყო იმ ტაძარში, სადაც ის წინამძღვრად მსახურობდა, და კლირიკოსებსა და მრევლს სტუმართმოყვარეობისთვის მადლობა გადაუხადა.

საპასუხო სიტყვაში, მღვდელმონაზონმა ამბროსიმ, დამსწრეთა სახელით, მადლობა გადაუხადა ეგზარქოს მეუფეს სადღესასწაულო ზეიმში მონაწილეობისთვის და აღნიშნა, რომ კრებულის ცხოვრება განაგრძობს განვითარებას დიდწილად იმ შრომის წყალობით, რომელიც მიტროპოლიტმა ანტონიმ ის ეკატერინეს ტაძრის წინამძღვრობის პერიოდში გაიღო რომის მართლმადიდებლური სამრევლოს შესაქმნელად. ჩატარებული ღვთისმსახურების ლოცვით მოსაგონებლად მღვდელმსახურმა მეუფე ანტონის ყვავილების თაიგული მიაჩრთვა.

შემდეგ სამრევლოს სატრაპეზოში საზეიმო მიღება გაიმართა.

იმავე საღამოს, საპატრიარქო ეგზარქოსმა ტაძრის სამღვდელოების თანხლებით კიდობანში დაბრძანებული წმინდა დიდმონაშენე ეკატერინეს წმინდა ნაწილებთან დაუჯდომელი შეასრულა.

რომის წმინდა ეკატერინეს ტაძარი/

სსკვ-ის კომუნიკაციის სამსახური

წყარო: <https://mospat.ru/ge/news/88594/>